სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 9

ქ. გორი 2020 წელი

ერთიმხრივ, გორის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი გორის მუნიციპალიტეტის მერის, კონსტანტინე თავზარაშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: გორი გრიგოლ ფერაძის N5
საიდენტიფიკაციო კოდი: 218086087
ტელეფონის ნომერი:
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 300843460

და მეორე მხრივ, შპს საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემები, წარმოდგენილი დირექტორის ნინო მენთეშაშვილის სახით (შემდგომში - მომწოდებელი),
მისამართი: თბილისი ალ.ყაზბეგის 9ა
საიდენტიფიკაციო კოდი:№ 204885810
ტელეფონის ნომერი:
საბანკო რეკვიზიტები: : სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE47TB0600000022467240

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის /**SMP200005578/** ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წერის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 25 დეკემბრის № 5512 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: 64110000 - საფოსტო მომსახურებები.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების ღირებულებაა **25 598** (ოცდახუთი ათას ხუთას ოთხმოცდათვრამეტი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

2. მომსახურების გაწევის ადგილია: საქართველო, ასევე ფასების ცხრილში მითითებული ქვეყნები.

მუხლი 4. ანგარიშსწორების წესი

1. ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

2. ანგარიშწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3. შემსრულებელმა ასანაზღაურებელი თანხმა უნდა წამოადგინოს ყოველდღიურად, სადაც მითითებული უნდა იყოს: სერვის ცენტრის და ორგანიზაციის დასახელება, რეესტრის ნომერი და თარიღი, გაგზავნილი წერილების ნომრები, მიმღების სახელი და გვარი (ორგანიზაციის დასახელება), მისამართი, ბარკოდი, წონა, გზავნილების რაოდენობა და თანხა. ყველა რეესტრი დამოწმებული უნდა იყოს ხელმოწერითა და ბეჭდით.

4.თვის ბოლოს უნდა მომზადდეს მიღება-ჩაბარების აქტი როგორც ყველა სერვის ცენტრისთვის ცალ-ცალკე, ისე ერთიანი, ჯამური ოდენობის მითითებით. აქტებს თან უნდა ერთვოდეს გაგზავნილი ცხრილი რეესტრების ნომრებით, რაოდენობით და თანხების მითითებით. ხელმოწერას უნდა აფიქსირებდეს როგორც ფოსტის ასევე დამკვეთის წარმომადგენელი.

5. ხელშეკრულების მიმდინარეობისას შესაძლებელია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე მომსახურება არ იყოს სრულად გამოყენებული ან/და მოხდეს გადაჭარბებით გამოყენება (რისი დაბალანსებაც უნდა მოხდეს სხვა გამოუყენებელი მომსახურებიდან), რამაც არ უნდა გამოიწვიოს ხელშეკრულებაში, სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში ცვლილების შეტანის აუცილებლობა და მომსახურების განხორციელების შეზღუდვა. აღნიშნული რაოდენობების ზედამხედველობა განხორციელდება მხარეების მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ. აღნიშნული ცვლილება არ განიხილება როგორც ხელშეკრულების პირობების ცვლილება.

მუხლი 5. მომსახურების შესაბამისობა

1. ხელშეკრულების ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მომსახურება მიმწოდებლის მიერ უნდა შესრულდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჯეროვნად, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილი სტანდარტების, ხელშეკრულებითა და მასზე თანდართული ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობების შესაბამისად.

2. ტექნიკურ დავალებაში განსაზღვრული წესებიდან და ნორმებიდან მიმწოდებლის მხრიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

3. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკარაჯეროვანი შესრულების შემთხვეაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამთეხლო, დავალების შესრულების საბოლოო ვადის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 6. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

1.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს, გორის მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოების განყოფილების ხელმძღვანელი ან/და მისი მოვალეობის შემსრულებელი.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1.მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მე-5 მუხლის პირველ პუნქტითა და დეტალური ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) მომსახურება გასწიოს ხელშეკრულების მე-3 მუხლსა და დეტალურ ტექნიკურ დავალებაში განსაზღვრულ ვადაში და პირობებით;

1. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელს გადასცეს დეტალური დავალება, რომელიც მოიცავს, მომსახურების გაწევის ვადებს,

გ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებითა და დეტალური ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით და დეტალური ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლიანი გაწეული მომსახურება.

მუხლი 8. კონტროლი (ინსპექტირება)

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების დაცვის კონტროლს (ინსპექტირება) ახორციელებს გორის მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოების განყოფილების ხელმძღვანელი ან/და მისი მოვალეობის შემსრულებელი.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 10. პასუხისმგებლობა

1. მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევის ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ამ დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მომსახურების საორიენტაციო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

3. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების შესრულებისაგან.

3. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

4. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ცალმხრივად, წერილობითი ფორმით შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებითა და დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვალდებულებას;

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა) ან ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, დაიწყო მიმწოდებლის ლიკვიდაციის პროცედურა;

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულები გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ე) მიღებული დეტალური ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადა მიმწოდებლის მიერ დაირღვა და მომსახურების მიწოდების ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა შეადგენს 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეს;

ვ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

ზ) დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული გასაწევი მომსახურება სრულად გადასცა ქვეკონტრაქტორს;

ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული საფუძვლებით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

მუხლი 12. უფლებების გადაცემა

1. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

2. ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 13. ქვეკონტრაქტორ(ებ)ი და მიმწოდებლის პერსონალი

1. დაუშვებელია მიმწოდებელმა დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული გასაწევი მომსახურებების ნაწილი, შემსყიდველთან შეთანხმებით, შესასრულებლად გადაეცეს ქვეკონტრაქტორ(ებ)ს, რომლებიც (რომელიც) არ უნდა იყვნენ რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში – „შავი სია“;

2. დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული გასაწევი მომსახურების ნაწილის ქვეკონტრაქტორ(ებ)ზე გადაცემით, მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ისგან და გაწეული მომსახურების შესრულებაზე შემყიდველთან პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით აცნობოს შემსყიდველს ქვეკონტრაქტორ(ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის დადების თაობაზე და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა აღნიშნულზე. ამ მიზნით, შემსყიდველს წარედგინება ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დასახელება ღირებულების მითითებით და გასაფორმებელი ქვეკონტრაქტ(ებ)ის ასლი. შემსყდველის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში, მიმოწოდებელი ვალდებულია, არ დაუშვას დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული გასაწევი მომსახურებების ნაწილის მითითებული ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მიერ განხორიელება.

4. მიმწოდებელი ვალდებულია ქვეკონტრაქტორ(ებ)თან დადებული ხელშეკრულებ(ებ)ის ასლ(ებ)ი წარუდგინოს შემსყიდველს, აღნიშნული ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 14. შეტყობინება

1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში - info@gori.gov.ge gvantsa.kakalashvili@gmail.com) ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 15. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი - შემსყიდველთან და ერთი პირი - მიმწოდებელთან).

6. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

7. სატენდერო წინადადება, ფასების ცხრილი, დეტალური ტექნიკური დავალება, ზოგადი ტექნიკური დავალება (დანართი №2) თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მხარეთა ხელმოწერები:

Gori Municipality

Digitally signed by Gori Municipality
Date: 2020.12.28 16:57:05 +04'00'

შემსყიდველი: გორის მუნიციპალიტეტი მერი - კონსტანტინე თავზარაშვილი

მიმწოდებელი:

№	გზავნილის სახეობა	გზავნილის წონა	მიმართულება	მიწოდების ვადა	სავარაუდო რ–ბა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	დოკუმენტი/ამანათი	3 კგ–მდე	შიდა გზავნილები	2-5 სამუშაო დღე	5000	5	25000
2	დოკუმენტი/ამანათი	3 კგ–დან ზევით 1 კგ–ის ფასი	შიდა გზავნილები	2-5 სამუშაო დღე	2	1	2
3	ჰიბრიდული გზავნილები		შიდა გზავნილები	2-5 სამუშაო დღე	0		
4	დოკუმენტი/ამანათი	0.0-0.5	დსთ	5–10 სამუშაო დღე	1	150	150
		0.5-1.0					
		1.0-1.5					
		1.5-2.0					
		2.0-2.5					
		2.5-3.0					
		3.5-4					
		4.0-5.0				450	
5	დოკუმენტი/ამანათი	0.0-0.5	ევროპა	5–10 სამუშაო დღე	1	150	150
		0.5-1.0			0		
		1.0-1.5			0		
		1.5-2.0			0		
		2.0-2.5					
		2.5-3.0					
		3.5-4					
		4.0-5.0				450	
		0.0-0.5			1	116	116
		0.5-1.0					
		1.0-1.5					

6	დოკუმენტი/ამანათი	1.5-2.0	აშშ	5–10 სამუშაო დღე			
		2.0-2.5					
		2.5-3.0					
		3.5-4					
		4.0-5.0				372	
7		0.0-0.5	სხვა დანარჩენი ქვეყნები	5-10 სამუშაო დღე	1	180	180
		0.5-1.0					
		1.0-1.5					
		1.5-2.0					
		2.0-2.5					
		2.5-3.0					
		3.5-4					
		4.0-5.0				550	
8	ნებისმიერი გზავნილი 5 კილოგრამზე ზევით				კგ-ს ფასს პლუს 40 ლარი ყოველ დამატებით 1 კგ-ზ		
							25598

შპს "საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემების" დირექტორი:
ნ. მენთეშაშვილი

Information Communications Systems LLC
Digitally signed by Information Communications Systems LLC
Date: 2020.12.21 17:42:26 +04'00'

Information Communications Systems LLC
Digitally signed by Information Communications Systems LLC
Date: 2020.12.28 14:15:03 +04'00'

გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფოსტო მომსახურების შესახებ ტექნიკური დავალება

1. მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:

1.1 საკურიერო მომსახურება ყოველ სამუშაო დღეს შეთანხმებული დროის მიხედვით დამკვეთის მიერ მითითებული ლოკაციებიდან.

1.2 საფოსტო გზავნილების მართვისთვის განკუთვნილი სრულყოფილი პროგრამული უზრუნველყოფის არსებობა;

1.3 მომსახურების შემსყიდველი კომპანიისთვის საჭირო რაოდენობის იუზერების შექმნა, საქმისწარმოების მხარდაჭერის სამსახურის ყველა თანამშრომელზე ცალ-ცალკე;

1.4 მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, მიმწოდებელი ვალდებულია გამოცხადდეს საფოსტო გზავნილის მიღების ადგილზე და უზრუნველყოს საფოსტო გზავნილის წაღება არაგეგმიურად. სასწრაფო გზავნილის მისაღებად მიმწოდებელი საფოსტო გზავნილის მიღების ადგილზე ცხადდება შემსყიდველთან შეთანხმებული ვადის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში იმავე სამუშაო დღეს;

1.5 გზავნილების ჩაბარება, შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს შაბათ დღესაც;

1.6 ადგილობრივი (საქართველოს ნებისმიერი ქალაქი და დასახლებული პუნქტი) გზავნილები უნდა ჩაბარდეს არაუმეტეს 2–5 სამუშაო დღეში, ხოლო საერთაშორისო (საქართველოს საზღვრებს გარეთ ნებისმიერი მიმართულებით) გზავნილები არაუმეტეს 5-10 სამუშაო დღეში (დღეების ათვლა განხორციელდება გზავნილის კურიერზე გადაცემიდან მომდევნო სამუშაო დღეს). აღნიშნული ინფორმაციის პროგრამული ასახვა განხორციელდეს დაუყოვნებლივ.

1.7 ადგილობრივი და საერთაშორისო გზავნილების ონლაინ რეჟიმში თვალყურის დევნების სისტემისა (ე.წ. „თრექინგი“) და მისი კუთვნილი ვებ-გვერდის გამართული ფუნქციონირება, საიდანაც შესაძლებელი იქნება გზავნილის ნებისმიერი მოძრაობის სტატუსის ნახვა, რომლის სისწორეზე პასუხისმგებელი იქნება მიმწოდებელი;

1.8 კურიერისთვის გზავნილის გადაცემა უნდა ხდებოდეს ელექტრონულ სისტემაში დამუშავებული დოკუმენტის (რეესტრის) მეშვეობით;

1.9 საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი სერვის ცენტრიდან შესაძლებელი უნდა იყოს სხვა სერვის ცენტრის გზავნილების წაღება;

1.10 გზავნილების ამოღება/წაშლა შესაძლებელი უნდა იყოს გზავნილების რეესტრის დახურვამდე;

1.11 გზავნილის მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მოწოდება უნდა ხდებოდეს ელექტრონული სერვისის მეშვეობით დაუყოვნებლივ (საბოლოო სტატუსის: „ჩაბარდა“ ან „არ ჩაბარდა“-მდე არსებული მოძრაობის ინფორმაცია);

1.12 ყველა განხორციელებული ვიზიტის შესაბამისი გზავნილის ჩაბარება/ჩაუბარებლობის დოკუმენტი PDF ფორმატში, უნდა აიტყვირთოს ელექტრონულ სისტემაში და შესაძლებელი უნდა იყოს მისი ამობეჭდვა;

1.13 მიმწოდებელმა თავდაპირველად მითითებულ მისამართზე გზავნილის მიტანამდე, (როგორც პირველ, ასევე მეორე ვიზიტამდე) შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს შეცვლილ მისამართზე გზავნილის გადამისამართება. იმ შემთხვევაში, თუ გზავნილი გადამისამართდება პირველ ვიზიტამდე, მიმწოდებელმა ახალ მისამართზე უნდა განახორციელოს სტანდარტული მომსახურება - ორჯერადი ვიზიტი, ხოლო, იმ შემთხვევაში თუ გადამისამართების დროისთვის მიმწოდებელს უკვე განხორციელებული ექნება ერთი ვიზიტი, მაშინ იგი ვალდებული იქნება მხოლოდ ერთხელ მიიტანოს გზავნილი შეცვლილ მისამართზე;

1.14 გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება ხორციელდება ადრესატის რეგისტრაციის მისამართზე პირადად ადრესატისთვის ან აღნიშნულ მისამართზე დახვედრილი სრულწლოვანი პირისათვის; დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს კონკრეტული გზავნილის გადაცემის შეზღუდვა არაადრესატი პირისთვის.

1.15 იურიდიული პირისთვის განკუთვნილი გზავნილი უნდა ჩაბარდეს რეგისტრაციის მისამართზე კანცელარიას/კანცელარიის თანამშრომელს ან ასეთის არყოფნის შემთხვევაში გზავნილის მიღებაზე უფლებამოსილ შესაბამის პირს;

1.16 მისამართზე გზავნილის ადრესატის/უფლებამოსილი პირის არყოფნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დატოვოს შეტყობინება/მოკლე ინფორმაცია კურიერის ვიზიტისა და არსებული გზავნილის შესახებ, რომლის ჩაბარებაც მოქალაქისთვის შესაძლებელი უნდა იყოს მიმწოდებლის მისამართზე.

1.17 ადრესატის მხრიდან გზავნილის ჩაბარებაზე უარის თქმის შემთხვევაში მიმწოდებელი (შემდეგში კურიერი) ვალდებულია გზავნილის ჩაბარების/ჩაუბარებლობის დოკუმენტში მიუთითოს ჩაუბარებლობის კომენტარი, სადაც მაქსიმალურად დეტალურად უნდა აღიწეროს ის ფაქტობრივი მახასიათებლები რაც კონკრეტული გზავნილის ჩაბარებაზე უარის შესახებ ინფორმაციას დაადასტურებს;

1.18 გზავნილის მიმღების (ადრესატის) მითითებულ მისამართზე არყოფნის შემთხვევაში ან/და მისამართის დაზუსტების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია ადრესატთან მოახდინოს სატელეფონო კომუნიკაცია (კონვერტზე მითითებულ ტელეფონის ნომერზე);

1.19 მას შემდეგ, რაც შემსყიდველი, მონიტორინგის შედეგად, გამოავლენს რომ მიმწოდებელმა ორი თვის განმავლობაში 100 (ასი)-ჯერ ან მეტჯერ, არ მოახდინა სატელეფონო კომუნიკაცია გზავნილების ადრესატებთან, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს სატელეფონო კომუნიკაციების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. მიმწოდებლის მიერ ხსენებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობა განიხილება

როგორც სატელეფონო კომუნიკაციის განუხორციელებლობა.

1.20 მიმწოდებლის მირ ჩაუბარებელი გზავნილების შესაბამის სერვის ცენტრში დაბრუნება მოხდეს არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

1.21 დაბრუნებული წერილები უნდა აღირიცხოს რეესტრით, რომლის სავალდებულო რეკვიზიტებია: თარიღი, რეესტრის ნომერი, მიმღები ორგანიზაციის დასახელება, უკან დაბრუნებული წერილების რაოდენობა, წერილის ნომერი, ბარკოდი, გამგზავნი ორგანიზაციის დასახელება.

1.22 გზავნილის ჩაბარების სტატუსი უნდა შეიცავდეს:

- სტატუსი ჩაბარდა
- ჩაბარების თარიღი
- ჩამბარებლის სახელი და გვარი;
- ჩამბარებლის სტატუსი (პირადად/ მასთან მცხოვრები ოჯახის სრულწლოვანი წევრი, კანცელარია)
- ჩამბარებლის პირადი ნომერი და ხელმოწერა.
- კურიერის სახელი და გვარი

1.23 გზავნილის ჩაუბარებლობის სტატუსი უნდა შეიცავდეს:

- სტატუსი ჩაუბარებელი;
- ჩაუბარებლობის მიზეზი და თარიღი
- არასწორი ან არასრული მისამართი
- უარი განაცხადა ჩაბარებაზე (უნდა მიეთითოს პირის სტატუსი, სახელი და გვარი)
- აღარ ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე
- ჩაუბარებლობის კომენტარი
- კურიერის სახელი და გვარი

1.24 პირველადი, განმეორებითი და ყველა შემდეგი ვიზიტის შესახებ ინფორმაციის ასახვა უნდა ხდებოდეს ელექტრონულ სისტემაში;

1.25 უკან დაბრუნებამდე არასწორ მისამართზე გაგზავნილი საერთაშორისო გზავნილის გადამისამართება იმავე ქალაქში, ხოლო ადგილობრივი გზავნილის გადამისამართება საქართველოს მასშტაბით მოხდეს უფასოდ.

1.26 საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს ამანათის დაზღვევა შემსყიდველის ხარჯით (სადაზღვევო რისკს წარმოადგენს დაკარგვა ან დაზიანება). საერთაშორისო ნორმებით დადგენილი წესის შესაბამისად, გზავნილი/ამანათი დაკარგულად ჩაითვლება მაქსიმუმ ერთი თვის გასვლის შემდეგ, რაც გზავნილის/ამანათის მარშრუტის სისტემაში აისახება ელექტრონულად.

1.27 მომწოდებლის მხრიდან კონტროლისა და ანალიზის მიმართულებით პასუხისმგებელი პირის გამოყოფას, რომელიც უზრუნველყოფს შემსყიდველთან დროულ კომუნიკაციას შესასყიდ მომსახურებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით და გზავნილების ჩაბარების/ჩაუბარებლობის ელექტრონულ სერვისთან დაკავშირებული ინფორმაციის მოწოდებას;

1.28 მომწოდებელი ვალდებულია დამკვეთი მუდმივად უზრუნველყოს წერილების ჩაბარება/არ ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტაციაზე წვდომით. აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა შემყიდველ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს საფოსტო მომსახურების შეწყვეტის შემდგომაც.

2. ანგარიშსწორება:

2.1 მომსახურების ანაზღაურება უნდა მოხდეს ეროვნულ ვალუტაში შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით.

2.2 შემსრულებელმა ასანაზღაურებელი თანხმა უნდა წამოადგინოს ყოველდღიურად, სადაც მითითებული უნდა იყოს: სერვის ცენტრის და ორგანიზაციის დასახელება, რეესტრის ნომერი და თარიღი, გაგზავნილი წერილების ნომრები, მიმღების სახელი და გვარი (ორგანიზაციის დასახელება), მისამართი, ბარკოდი, წონა, გზავნილების რაოდენობა და თანხა. ყველა რეესტრი დამოწმებული უნდა იყოს ხელმოწერითა და ბეჭდით.

2.3 თვის ბოლოს უნდა მომზადდეს მიღება-ჩაბარების აქტი როგორც ყველა სერვის ცენტრისთვის ცალ-ცალკე, ისე ერთიანი, ჯამური ოდენობის მითითებით. აქტებს თან უნდა ერთვოდეს გაგზავნილი ცხრილი რეესტრების ნომრებით, რაოდენობით და თანხების მითითებით. ხელმოწერას უნდა აფიქსირებდეს როგორც ფოსტის ასევე დამკვეთის წარმომადგენელი.

2.4 ხელშეკრულების მიმდინარეობისას შესაძლებელია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე მომსახურება არ იყოს სრულად გამოყენებული ან/და მოხდეს გადაჭარბებით გამოყენება (რისი დაბალანსებაც უნდა მოხდეს სხვა გამოუყენებელი მომსახურებიდან), რამაც არ უნდა გამოიწვიოს ხელშეკრულებაში, სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში ცვლილების შეტანის აუცილებლობა და მომსახურების განხორციელების შეზღუდვა. აღნიშნული რაოდენობების ზედამხედველობა განხორციელდება მხარეების მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ. აღნიშნული ცვლილება არ განიხილება როგორც ხელშეკრულების პირობების ცვლილება.

3. საფოსტო მომსახურების ელექტრონული პროგრამის ტექნიკური მახასიათებლები:

3.1 მომწოდებელი კომპანიის საფოსტო გზავნილების ელექტრონული სისტემა თავსებადი უნდა იყოს შემსყიდველი ორგანიზაციის ელექტრონულ პროგრამასთან. მომწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით 10 სამუშაო დღის ვადაში მოახდინოს პროგრამულ უზრუნველყოფაში ყველა აუცილებელი ცვლილების შეტანა, რათა შესაძლებელი იყოს გამართული სამუშაო პროცესის წარმართვა. აღნიშნული ვადის ცვლილება შესაძლებელია

მხოლოდ დამკვეთთან შეთანხმებით.

3.2 მომწოდებელი კომპანიის საფოსტო გზავნილების ელექტრონული სისტემაში შესაძლებელი უნდა იყოს შემდეგი ოპერაციების ელექტრონულად განხორციელება:

- გზავნილის რეგისტრაცია
- გზავნილის გაუქმება
- რეესტრის შექმნა
- რეესტრში წერილების დამატება
- რეესტრიდან წერილების ამოღება
- რეესტრის დასრულება
- გზავნილის კონვერტაციის თანადროული ასახვა მიმწოდებლის პროგრამაში ყველა იდენტიფიკატორის შენარჩუნებით.

დანართი N3

ინფორმაცია

საანგარიშო პერიოდში შესრულებული ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის ადგილობრივი და საერთაშორის საფოსტო-საკურიერო მომსახურების შესრულების შესახებ

N	თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული მომსახურების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების მოქმედების ვადები	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტობრივად შესრულებული მომსახურების ღირებულება	სატენდერო განცხადების ნომერი (არსებობის შემთხვევაში)
1	2	3	4	5	6	7
1	საფოსტო მომსახურება	საქპატენტი	01.01.2020 - 31.01.2021	39960	23186.00	**NAT190023242**
2						
3						
4						
5						
6						
...						

პრეტენდენტის ხელმოწერა

შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემების“ დირექტორი:

ნ. მენთეშაშვილი

Information Communications Systems LLC

Digitally signed by Information Communications Systems LLC
Date: 2020.12.28 12:08:24 +04'00'